ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა

ისტორია

II ტური

X-XII კლასები

2025-2026 სასწავლო წელი

<u>ინსტრუქცია დავალებებისთვის 1-3:</u> *ერთმანეთს შეუსაბამეთ ორ სვეტში მოცემული ინფორმაცია. თითოეული დავალების მაქსიმალური შეფასებაა 4 ქულა.*

1. დაადგინეთ შესაბამისობა „ქართლის ცხოვრებაში“ არსებულ ინფორმაციასა და კონკრეტულ ქართველ ფეოდალს შორის, რომელსაც ეს ინფორმაცია ეხება:

A	„და იყო ესე [...] ომსა შინა მჴნედ მბრძოლი, ცხენსა ზედა მჴნე და მოისარი ნადირთა ჴელოვანი, გონებითა ფრთხილ, მაშენებელი ქუეყანათა, ეკლესიათა და მონასტერთა, და ღმრთის-მოსავთა კაცთა პატივისმცემელ, მლოცავი, რომელ არა დააკლდის ცისკრის ლოცვათა, სამხრად და მწუხრად, ვითარ ტჴბიკონი მოსცემდის. დაიპყრა ქუეყანა ტასისკარითგან კარნუ-ქალაქამდის, სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი და უმრავლესი ტაო, ვაშლოვანი, ნიგალისჴევი, არტანუჯი, თორმეტნი უდაბნონი, კოლა, კარნიფოლა და ორნივე არტანნი, და მრავალნი სოფელნი ჯავახეთს. და ესრეთ დღითიდღე განდიდნებოდეს და მსახურებდეს ყაენს აბაღას, და მორჩილობდეს მეფესა დიმიტრის“.	**1**	ზაქარია მხარგრძელი
B	„ხოლო[...] მუნვე შეპყრობილ იქმნა სიმრავლისა ფრიადისა მიერ, და ივანე, გარნისისა კლდეთა შელტოლვილი, ზენაკერძო მოტევებულითა ქვითა მოიკლა. ხოლო [...] წარიდგინა სულტან ჯალალდინსა წინაშე, რომელი იცნეს ნახჭევნელთა და ადარბადაგანელთა, და მოაჴსნეს სულტანსა ახოვნება და წყობათა შინა სიქველე მისი. ხოლო მან არა მოკლა, არამედ თჳსთა თანა იპყრა დიდითა პატივითა, და მიანიჭნა ქალაქნი ადარბადაგანისანი, და თავადთა თჳსთა თანა პატივ სცა. ხოლო შემდგომად წელიწდისა ერთისა მოიკლა სულტნისა მიერ არა დატევებისათჳს სჯულისა.“	**2**	იოანე მარუშისძე

C	„ვინათგან მოიწია მწუხარება, და მიიცვალა [...] კაცი დიდად გამდიდრებული და ყოვლითა სათნოებითა აღსავსე, გამარჯუებული მჯნე და ძლიერად მბრძოლი მთავარი თემისა ლორისა, რომელი მეფემან იგლოვა და ყოველმან კაცმან საქართველოს მყოფმან. რამეთუ არავინ მჯნედ გამოჩენილ იყო მთავარი ჟამთა ამათ, რამეთუ გუარისაგანცა მოვეაქუნდა, რომელი იყო ნათესავი არტაქსერქსი და იყო სარწმუნოებითა სომეხი არამედ ყოველნი სათნოებანი საღმრთონი და საკაცობონი აქუნდეს.“	3	ცოტნე დადიანი
D	„მაშინ მოვიდეს კახნი და მოადგეს უფლისციხესა. და იყო მათ ჟამთა ერისთავი ქართლისა [...], კაცი ძლიერი და ერმრავალი. ამან წარავლინა მოციქული წინაშე დავით კურაპალატისა; აწჯა, რათა გამოილაშქროს ძალითა მისითა, აღიღოს ქართლი: ანუ დაიმჭიროს თჯთ, ანუ უბოძოს ბაგრატს, ძესა გურგენისსა, ასულის-წულსა გიორგი აფხაზთა მეფისასა, რომელსა ეყოდა დედულად აფხაზეთი და ქართლი [...] ამანვე ინება, რათა მოიყვანოს ბაგრატ მეფედ აფხაზეთისა და მის თანა ყოველთა დიდებულთა, ერის-თავთა და აზნაურთა აფხაზეთისა და ქართლისათა გამოითხოვეს ბაგრატ მეფედ დავით კურაპალატისგან.“	4	შალვა ახალციხელი
		5	ბექა ჯაყელი
		6	ივანე ორბელი

2. დაადგინეთ შესაბამისობა ისტორიულ თხზულებასა და მის ავტორს შორის:

	ისტორიული თხზულება		ავტორი
A	გზაზე ერთი კაცი მიდიოდა	1	კონსტანტინე ლორთქიფანიძე
B	მაცი ხვიტია	2	ოთარ ჭილაძე
C	ჰაკი აძბა	3	ლევან გოთუა
D	გმირთა ვარამი	4	მიხეილ ჯავახიშვილი
		5	ანტონ ფურცელაძე
		6	ლეო ქიაჩელი

3. დაადგინეთ შესაბამისობა მოგზაურსა და მის პორტრეტს შორის:

A		1	ფერნანდო მაგელანი
B		2	ენრიკე ზღვაოსანი

C		3	ჯეიმზ კუკი
D		4	ქრისტეფორე კოლუმბი
		5	ვასკო და გამა
		6	ფრენსის დრეიკი

<u>ინსტრუქცია დავალებისთვის 4:</u> თქვენს წინაშეა დავალების პირობა, რომელსაც გულდასმით უნდა გაეცნოთ და შემოთავაზებული კითხვების მიხედვით ჩამოაყალიბოთ თქვენი მოსაზრებები და არგუმენტები ქვემოთ წარმოდგენილ თემაზე.

- ***ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული.***
- ***ნაწერი არ გასწორდება, თუ მოცემული დავალება მთლიანობაში არაადეკვატურად არის გაგებული ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.***

დავალების მაქსიმალური შეფასებაა 6 ქულა.

4. 1632 წელს შაჰმა ქართლში მმართველად ხოსრო მირზა დანიშნა.

კითხვები:

(1) 4.1. ვინ იყო ირანის შაჰი ამ დროს?

(1) 4.2. კიდევ რა სახელით არის ცნობილი ხოსრო მირზა საქართველოს ისტორიაში?

(1) 4.3. თქვენი აზრით, ვისთვის იყო საქართველოში ხოსრო მირზას მოღვაწეობა უარყოფითი შედეგის მომტანი? მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(1) 4.4. თქვენი აზრით, ვისთვის იყო საქართველოში ხოსრო მირზას მოღვაწეობა დადებითი შედეგის მომტანი? მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(2) 4.5. დაასახელეთ საქართველოში მოღვაწე, ქართველი ან უცხოელი პიროვნება, რომელიც ხოსრო მირზას მსგავსი მმართველი იყო. მოიტანეთ ორი არგუმენტი ამ მსგავსების დასადასტურებლად.

<u>ინსტრუქცია დავალებისთვის 5:</u> ყურადღებით წაიკითხეთ ისტორიული დოკუმენტი და უპასუხეთ შეკითხვებს. დავალების მაქსიმალური შეფასებაა 12 ქულა.

მარკო პოლო - თხზულებიდან „ქვეყნიერების მრავალფეროვნებისთვის“

ქართველებს ჰყავთ მეფე, რომელსაც ყოველთვის დავით მელიქს უწოდებენ, ანუ, ფრანგულად რომ ვთქვათ, დავით მეფეს. იგი თათრების ქვეშევრდომია. ძველთაგანვე, ყველა მეფეს, ვინც კი ამ პროვინციაში დაიბადება მარჯვენა ბეჭის ქვეშ არწივის ნიშანი უჩნდება. ქართველები ლამაზი ხალხია, ომში მამაცი და კარგი მოისარი. ქრისტიანები არიან და ბერძენთა კანონს მისდევენ. თმები მოკლედ აქვთ შეჭრილი, როგორც ჩვენს სამღვდელოებას.

ეს ის პროვინციაა, რომელიც ალექსანდრემ ვერ გამოიარა, რადგანაც ერთი მხრიდან ზღვა ესაზღვრება, მეორედან კი - მთები. ამ მხრიდან ისეთი ვიწრო ბილიკია, რომ ცხენით გავლა შეუძლებელია. ეს ვიწრო გზა თორმეტ მილზე მეტი სიგრძისაა, ასე რომ, ქვეყნად ცოტა ვინმე თუ შეძლებს მის გამოვლას: ამიტომ ალექსანდრემაც ვერ გამოიარა. აქვე ააგებინა ალექსანდრემ კოშკი და დიდი ციხესიმაგრე რათა მათ (ქართველებს) მასზე ვერ გაელაშქრათ. მას რკინის კარი ჰქვია. ეს ადგილი მოხსენიებულია ალექსანდრეს წიგნში, სადაც ნათქვამია, რომ მან თათრები მთებში მოიმწყვდია. თუმცა ეს თათრები კი არ იყვნენ, არამედ ხალხი, რომელსაც კუმანები ჰქვია და სულ სხვა ტომია, რადგან თათრები ამ დროს სულაც არ ყოფილან.

ამ პროვინციაში ყველა ტყე ბზისაა. ქართველებს ძალიან გამაგრებული ქალაქები აქვთ. ისინი ძალიან წმინდა აბრეშუმისგან მსოფლიოში საუკეთესო ოქროთი მოსირმულ ქსოვილებს ამზადებენ. მათ მსოფლიოში საუკეთესო მიმინოები ჰყავთ. აქ ყველანაირი საკვების სიუხვეა. მთელი პროვინცია დიდი მთებითაა მოფენილი. ასე, რომ თათრებმა მისი სრულად დაპყრობა ვერ შეძლეს.

კითხვები:

(1) 5.1. თქვენი აზრით, რატომ ჩათვალა ავტორმა, რომ ქართველები თავიანთ მეფეებს ყოველთვის დავითს უწოდებდნენ?

(2) 5.2. ვის გულისხმობს ავტორი „თათრებში“ და რატომ ვერ შეძლეს თათრებმა საქართველოს სრულად დაპყრობა?

(1) 5.3. ქართველთა რომელ საბრძოლო თვისებებს აღნიშნავს მარკო პოლო?

(1) 5.4. რას უნდა გულისხმობდეს ავტორი, როდესაც ქართველებს „ბერძენთა კანონის“ მიმდევრებად წარმოადგენს?

(1) 5.5. ტექსტის მიხედვით, როგორ ახასიათებს ავტორი საქართველოს ლანდშაფტს, გეოგრაფიულ მოცემულობას?

(2) 5.6. ვინ იგულისხმება ტექსტში დასახელებულ ალექსანდრეში და რატომ ვერ შეძლო მან საქართველოში გადმოსვლა?

(2) 5.7. რომელი ლეგენდა უკავშირდება დასახელებული ალექსანდრეს მიერ „რკინის კარის“ აგებას და დღეს სად მდებარეობს ეს ადგილი?

(1) 5.8. წყაროში არსებული რომელი ინფორმაცია გვაძლებს ცნობებს საქართველოში ვაჭრობის განვითარების შესახებ?

(1) 5.9. რომელი საუკუნის საქართველოს ამბებზე მოგვითხრობს მარკო პოლო? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი ტექსტში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.